დანართი N1

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს

დებულება

მუხლი 1. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო (შემდგომ ,,საბჭო") არის მერის სათათბირო ორგანო, რომელიც იქმნება მერის ბრძანებით, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 86^1 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 2. საბჭოს საქმიანობის მიზნები და ამოცანები

1. საბჭო იქმნება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალეობისა და თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობის, ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებზე (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების და განვითარების პრიორიტეტების დოკუმენტები, მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები, ინფრასტრუქტურული, სოციალური და სხვა მნიშვნელოვანი ხასიათის პროექტები) წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.

2. საბჭოს ძირითადი ამოცანებია:

ა) გაანალიზოს და შეაფასოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესები და წარმოადგინოს შესაბამისი წინადადებები;

ბ) მხარი დაუჭიროს იმ ინიციატივებს, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების დროულად მოგვარებისთვის;

გ) მოამზადოს ანგარიში ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების საკითხებზე (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის, მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების და განვითარების პრიორიტეტების დოკუმენტების, მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების შესახებ).

მუხლი 3. საბჭოს უფლება-მოვალეობები

1. საბჭო უფლებამოსილია:

ა) მისთვის დაკისრებული ფუნქციებიდან გამომდინარე მოამზადოს, განიხილოს და წარუდგინოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერს წინადადებები შესაბამის თვითმმართველ ერთეულში არსებული პრობლემების და მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ;

ბ) თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებიდან მიიღოს თავისი მუშაობისათვის საჭირო დოკუმენტები, ცნობები და მუშაობისათვის საჭირო სხვა მონაცემები;

ბ) გამოხატოს დამოუკიდებელი პოზიცია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობისა და თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მიმართ;

გ) მონაწილეობა მიიღოს თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის გამოკითხვების და საზოგადოებრივი განხილვების ჩატარების ორგანიზებაში;

დ) უზრუნველყოს სისტემატური ურთიერთობანი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან;

ე) მონაწილეობა მიიღოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების პროცესში;

ვ) განახორციელოს უფლებამოსილების ფარგლებში სხვა საქმიანობა და უფლება-მოვალეობანი.

მუხლი 4. საბჭოს სტრუქტურა

1. საბჭო შედგება მეწარმე იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლებისაგან.

2. საბჭოს წევრთა საქმიანობა წარმოებს საზოგადოებრივ საწყისებზე და არ ანაზღაურდება.

3. საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერი. საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 10 წევრით.

4. საბჭოს უფლება აქვს მიმართოს მერს დასაბუთებული რეკომენდაციით საბჭოდან წევრის გაყვანის ან საბჭოს შემადგენლობაში ახალი წევრის შეყვანის შესახებ. გადაწყვეტილებას ასეთი რეკომენდაციის დაკმაყოფილების ან უარყოფის შესახებ იღებს მერი.

5. საბჭოში ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა 1/3-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. საბჭო უფლებამოსილი არ არის, თუ დარღვეულია ამ პუნქტის მოთხოვნა.

6. საბჭოს წევრს უფლებამოსილება უწყდება:

ა) პირადი განცხადებით;

ბ) საბჭოს წარდგინებით (საბჭოს წევრის მიერ დებულების დარღვევის შემთხვევაში);

გ) მერის გადაწყვეტილებით (ბრძანებით);

დ) საბჭოს სხდომების სამჯერ ზედიზედ გაცდენის (არასაპატიო მიზეზის) შემთხვევაში.

მუხლი 5. საბჭოს სხდომა და გადაწყვეტილების მიღების წესი

1. საბჭოს სხდომას იწვევს და წარმართავს საბჭოს თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს საბჭო თავისი შემადგენლობიდან ხმათა უმრავლესობით. საბჭო მოიწვევა 3 თვეში ერთხელ მაინც.

2. საბჭო უფლებამოსილია აირჩიოს საბჭოს 2 (ორი) თანათავმჯდომარე, რომელთაგან ერთ-ერთი საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში უძღვება საბჭოს სხდომას.

3. საბჭოს წევრების წინადადებების გათვალისწინებით საბჭოს სხდომის დღის წესრიგს, საბჭოს სხდომის ოქმს და სხვა კორესპონდენციას ადგენს საბჭოს მდივანი, რომელსაც ირჩევს საბჭო თავისი შემადგენლობიდან.

4. საბჭოს წევრებს, საბჭოს სხდომის დღის წესრიგი და განსახილველ საკითხებთან დაკავშირებული სხვა მასალები მიეწოდებათ ბეჭდური ან/და ელექტრონული ფორმით.

5. საბჭოს სახელით გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭიროა სხდომის დამსწრეთა ხმების ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

6. საბჭოს სხდომის დღის წესრიგი, სხდომის ოქმი და სხვა კორესპონდენცია პროაქტიულად ქვეყნდება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.

7. საბჭოს სხდომაზე მიღებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ დამსწრე წევრები. ოქმში მითითებული უნდა იქნეს:

ა) საბჭოს დასახელება;

ბ) სხდომის დრო და ადგილი;

გ) სხდომის თავმჯდომარის და დამსწრე წევრების ვინაობა;

დ) განსახილველი საკითხები;

ე) კენჭისყრის შედეგები;

ვ) მიღებული გადაწყვეტილებები და საჭიროების შემთხვევაში, სხვა ინფორმაცია.

8. საბჭოს წევრი, რომელიც არ ეთანხმება საბჭოს გადაწყვეტილებას, განსხვავებულ აზრს გამოხატავს წერილობით, რომელიც თან ერთვის სხდომის ოქმს.

9. საბჭოს რიგგარეშე სხდომა შეიძლება მოწვეული იქნეს საბჭოს თავმჯდომარის, მერის ან წევრთა 1/3–ის მოთხოვნით.

მუხლი 6. საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი

1. საბჭოს თავმჯდომარე:

ა) წარმართავს საბჭოს საქმიანობას;

ბ) იწვევს და წარმართავს საბჭოს სხდომებს;

გ) წარმოადგენს საბჭოს მესამე პირებთან ურთიერთობისას.

2. საბჭოს სხდომების მოსამზადებელ და საოქმო წარმოებას ახორციელებს საბჭოს მდივანი;

3. მდივანი სხდომის დამთავრებისას უზრუნველყოფს სხდომის ოქმის საჯაროდ გაცნობას დამსწრე წევრთათვის.

მუხლი 7. საბჭოს წევრის უფლება–მოვალეობანი

საბჭოს წევრი უფლებამოსილია:

ა) მონაწილეობა მიიღოს საბჭოს მუშაობაში უშუალოდ ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით და წარმოადგინოს თავისი წინადადებები და რეკომენდაციები საბჭოს მიერ განსახილველ საკითხებზე;

ბ) შეუფერხებლად შეხვდეს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ორგანოების თანამდებობის პირებს, გამოითხოვოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია საბჭოს უფლებამოსილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

გ) საბჭოს თითოეული წევრი უფლებამოსილია ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით დააფიქსიროს საკუთარი განსხვავებული პირადი პოზიცია საბჭოს სხდომის ოქმში შეტანით და საჯაროდ.

მუხლი 8. საბჭოს მუშაობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა

საბჭოს სხდომების, საჭიროების შემთხვევაში, აგრეთვე სამუშაო შეხვედრების ჩატარებას ორგანიზაციულად-ტექნიკურად უზრუნველყოფს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 9. საბჭოს დებულებაში ცვლილების შეტანა, გაუქმება

საბჭოს დებულებაში ცვლილებების შეტანა ან დებულების გაუქმება ხდება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.